



თბილისი

1899 წ.

№ 37 & 38

გოთმბარის 5.

გაზეთი ღირს: ერთის წლით—5 მ. ნახევარის წლ.—3 მ. ცალკე, ნომერი—15 კ.

სკელის მოწერა და წერილების გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Тифлисть, книжный магазинъ Чарквиани, Роману Панцхави.

რედაქცია არ კისრელობს, წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას.

გაზეთში დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს უნდა ჰქონდეთ მოწერილ სახელი, გვარი და ადრესი ავტორისა.

ქართული საკვირთო გაზეთი

„თბილისი“

მომავალ 1890 წლის იანვრის თვიდან გაზ. «თბილისი» გამოვიდა ახალ თანამშრომლების მიწაწილებით. რედაქცია ყოველ გვრდონისძიებას შობიანს, რომ თავისი გაზეთი გააუქმობდეს, როგორც შინაქანის, აგრეთვე გარეგანი მხრივ.

გაზ «თბილისის» ფაქი:

მთელის წლით 5 მ მ. | თვიურად . . . 1 მ.
ნახევარ წლით 3 მ | თვით ნომერი. 15 კ

სკელის-მოწერა მიიღება ამ ადრესით: Тифлисть, книжный магазинъ Чарквиани, Роману Панцхави.

ქართული თეატრი

სამშახათს, 7 ნოემბერს

ქართული თეატრის

არტისტები წარმოადგენენ

ბაბრატ IV

ისტორიული დრამა 4 მ აქმ.

ბ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებს ქუთაისის თეატრის არტისტი ბ. ნიკომონიძე

დატარდება ჯარა

ვოდველი 1 მ აქმ კ. ყიფიანისა.

მითამაშენი: ქ. ნი გაბუნია-

ცვარლისა, ავალიშვილისა, რ

დამელი; ბ. ნი აბაშიძე, გუნია,

სვიმონიძე, გედევ ნოვი, ცვარ-

და სხვანი.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

ჩვენს სწავლ-განათლებლზე.

ჩვერის მე 229 ნომერში ბაასა ცუა საქართველოს...
ლა განათლებზე, რასაც ყეოა სხვა ჩვენს საქმეებზე მნიშვნელობა აქვს, ჩვენის ფქვათ. მე შინდა ამ დროს
ყურადღებო საგანზე მოკლეთ ვილაპარაკებო მწერაში.





თუმცა ივერია საზოგადოთ ქართველობაზე ლაპარაკობს, მაგრამ მე საკუთრად იმიერ ქართველობაზე მექნება ბაასი და სახელდობრ ქუთაისის მოსწავლეებზე.

„ივერიის წერილის ავტორი მოგიხსრობს იმ სამყუხარო და გულ-საკლავ ამბავს, რომ, ქართველების რიცხვი სასწავლებელში ძალიან მცირეა, სხვა ტომის მოსწავლეებს რომ შევედაროთო. „გასულს წელს ამ (რეალურ) სასწავლებელში ყოფილა სულ 358 შეგირდი და ამათ შორას ქართველი მხოლოდ 27 იო, მაშინ როდესაც რუსი ყოფილა 138, სომეხი-136, გერმანელი—24, პოლშელი—16, თათარი—10, ბერძენი—4 და ებრაელი—3-ო... თუმცა-კი 1876 აღწერიდან სჩანსო, რომ რუსები არიან თბილისში რაცხვით 20,000-მდე ჯარების გარდაო... ქართველი—22,000, სომეხი—37,000, თათარი—2,000, ყიზილბაში—1,700, გერმანელი—2,000, პოლშელები—1,500-იო და თუმცა, დაუშატებთ ჩვენ, თბილისის გუბერნიაში მკვიდრი მცხოვრებნი ქართველები არიან; აქ გულ-საკლავ გარემოებას, „ივერიის“ წერილის ავტორი ქართველ მამებს აბრალებს. პური როცა გვაკლია, თავში ქვას ვიხლით და ვშრომობთ, ღვინო როცა გვაკლია, ვირჯებით, ტანთ გვაკლია, ფეხთ გვაკლია იქით ვეცემით, აქით ვეცემით, რომ როგორმე ვიშოვოთ და როცა შეილის გასაზრდელი სახარჯო არა გვაქვს, ბუზსაც არ ავიჟრენტ, ხელსაც არ გაეძრამთ, თუმცა მთელი დღე იმოდენად მოკლილი ვიყენეთ და ჭერში ბუზებსაც ვთელიდეთ.“

მაგრამ აქ სიტყვებს ავტორი იქვე შემდეგი სიტყვებით არღვევს: „განა მითამ სურვილი სკოლაში მიბარებისა არ იყოს ჩვენში გაძლიერებული... აბა ჰნახეთ რამოდენა ქართველობა მიაწყდება ხოლმე სასწავლებლის კარს, როცა მიღების დრო მოდის“.

ღიად, ვის არ უნახავს, თუ რა გაფაციცებული და შეწუხებული დარბიან ხოლმე მამები, როცა მათი შეილები ძილების ბედი წყდება და თუ რა სინარული აღიტაცებს ხოლმე მათ, როცა მათი შეილები მიღებას გამოუტყაბდებენ. ერ-

თხელ მე დავეწარა ერთს ამბავს, რომელიც კაცს სიცილს მოგვრის. ქ. სათავედ აზნაურო სკოლაში მიიღეს ერთი ღარიბი აზნაურის შვილი. როდესაც ეს ამან გაიგო, სინარულით ცალი ფეხი აიკაკუჭა და ცალ ფეხზე ხტომით გაიარა ზალა, რომელიც საზოგადოებით საესე იყო. რამ ქართველობას სურვილი სწავლისა დიდი აქვს, ამაზე ხომ თვით ავტორიც გვემოწმება.

მაგრამ ავტორს ერთი საზოგადო კანონი თან აგონდება და თან იქვე ავიწყდება, რომელსაც ემორჩილება მთლად კაცობრიობა და კერძოთ თვითეული ადამიანი. ადამიანს თუ რამე გულით და სულით უნდა, მაშინ იგი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ თავისი საწადელი აღისრულოს. მიკვირს, როგორ დაეიწყებია ავტორს ეს უბრალო კანონი. იგი ჯერ იმას ამბობს, რომ შეილების გამოზრდის სურვილი ბევრი გვაქო, და მერე იქვე სულ წინააღმდეგს ლაპარაკობს: „ჩვენ შვილი მიგვყავს სკოლაში მარტო იმისათვის, რომ თავიდან მოვიშოროთ. ან სახელმწიფოს მოვახვიოთ კისერზედ ან სხვას ვისმე კეთილ-მყოფელს, და რადგანაც სხვისი ჯიბე იმოდენად უხვი არ არის, რამოდენადაც დიდია სურვილი მუქთად შვილის გამოზრდისა და გამოკვებისა, ამიტომაც ბევრი დიდ-ნამა იძულებულია შვილი უკან წაიყვანოს.“ განა თუ ქართველებს მხოლოდ „მუქთად შვილის გამოზრდის სურვილი აქვთ? განა თუ ქართველს რომ შეძლება ჰქონდეს, თავისი ჯიბით შვილს არ გამოზრდის?

მაგრამ ვინ არ იცის ეხლა, რომ თუ ცოტა ქართველი იზრდება, ამის მიზეზი ჩვენი სიღარიბე და სიღატაკეა? ვინ არ იცის, რომ ეხლა ცარიელ ჯიბეზე კაცი მარტო სურვილით ველარას განდება?

ქართველებია უმთავრესად მიწის-მუშა ხალხი. უმთავრეს საქართველოს ქალაქ თბილისის ქართველები „პარიებს“ შეადგენენ. ამიტომ მომეტებული ნასწავლი ქართველი სოფლის თავად აზნაურობიდან და სასულიერო წოდებიდან გამოდის;



ლარიზმა ქალაქის მოხელემ რომ შეიღოს სწავლა არ დაასრულებინოს, ამაზე იმას საყვედურს ვერ ვტყვიოთ.

თავად აზნაურობას და სასულიერო წოდებასაც რაც შეეხება, ნუ თუ ავტორმა არ იცის, რომ ჩვენში ის მდიდარი და დიდი ადგილ-მამულის მფლობელი სასულიერო პირები აღარ არიან, რომელნიც რუსეთთან შეერთებამდის იყო, და, მაშასადამე, რომ ჩვენი სასულიერო წოდება მხოლოდ ღარიბი მღვდლებისაგან შესდგება? და ნუ თუ ყველა ჩვენი მცირე აზნაურები ღორღები გონია? რა საფუძველი უნდა ქონდეს მის ამნაირ ფრაზას: „...თუნდა მთელი დღე იმოდენა მოცლილი ვიყნეთ და ქერში ბუზებსაც ვთვლიდეთ“. მეც თანაზმა ვარ რომ საქართველოში ეხლაც ბევრია დიდი ადგილ-მამულის პატრონი თავადიშვილი, რომელნიც ლუარსაბ თათქარიძესავეთ ბუზების თვლაში დიდხანს ატარებენ ხოლმე, მაგრამ მთელი წერილი აზნაურობა და სამღვდლოება წელეგზე ფენს იდგამს, რომ იქნება როგორმე დაიკმაყოფილოს თავისი უბრალო მოთხოვნილება, მაგრამ თავის ზომიერ საწადელს მიღღემილიც ვერ მისწვდომია. უსახლობას, უკმელობას, ტანთუცმელობას თავისდღეში ვერ გამოუხსნლტება ბჭყალებიდან ღარიბი აზნაური ანუ მღვდელი.

მართალია რომ ცოტა რამე განსხვავება არის იმერეთისა და ქართლ-კახეთის ღარიბ აზნაურებს და მღვდლებს შორის. თუმცა ქართლ-კახეთის აზნაური და მკვიდრი მღვდელი უკუ რომ მდიდარი ბუნების პატრონია, ვიდრე იმერეთის, მაგრამ სამაგიეროთ პირველი მოუხვრებელია და არ შეუძლია თავისი ადგილი გამოიყენოს, როგორც რიგია, და, მაშასადამე, არ აქვს შეიღოს გამოზღის შეძლება; იმერეთის აზნაურს ან მღვდელს რაც შეეხება, იგი ხან იქით ეცემა ხოლმე და ხან აქეთ, ხერხსაც ბევრს ხმარობს და ოსტატობასაც, მაგრამ ადგილის სიცოტავე და ნაკლები ნაკოფიერება ხელაუშლის მან, რომ გამოიხსნას თავი უკიდურესი სიღარიბისაგან.

რომ სასულიერო წოდებამ გამოზარდოს შვილი, უფრო არ არის გასაკვირველი, მაგრამ საკვირველია ჩვენი აზნაურო-

ბის მისწრაფება შეილები გამოზღისადმი. ეს გარემოება იმი-
 თი აქსენება, რომ აზნაურს ეთაკილება უბრალო შრომა და
 სურს, რომ უფრო კეთილშობილური შრომით ირჩინონ თა-
 ვი მისმა შეილებმა. მაგრამ თუ-კი უკოლა ვერ გაუმართლებს
 იმას თავის იმედს და გაკეთილშობილებას მაკვირად შეილებს
 გაუუბედურებს, მაშინ იგი დაჰკარგავს იმ სასივსას უკოლი-
 სადმი, რომელიც იმას ღღემდე შერჩენია და განათლებული
 საზოგადოება ვალდებულა, დეხმარავს იმას მის კეთილშო-
 ბილურ მისწრაფებაში და არა ესაყვედურებოდეს, და ამისა-
 თვის, განვიმეორებთ, საჭიროა, მუდამ გეახსომდეს, რომ იგი
 დაიბნია და მარტო თავისთავად არ შეუძლია შეილების
 აღზრდა.

ამ წერილში მე მსურს მოკლედ აღვწერო ქუთაისის უე-
 გირდების ყოფა ცხოვრება, რადგანაც ცხრა წლის განმავლო-
 ბაში მითვალყურებია მისათვის და რადგანაც ჩემის ფიქრით
 იქაური შეგვირდების ყოფა ცხოვრება იშინირივე იქნება, რა-
 ნაირიც სხვა ჩვენი ქალაქების.

მაშა ჩამოიყვანს სოფლიდგან ნორჩსა და სათუთს ხამ
 ყმაწვილს და დაყენებს ერთ ვისმე ღრიბ მოქალაქესთან თევში
 2—5 მანათად. მერე წლითი წლობადან არც-კი ინახულებს
 და არც-კი შეიტყობს მისს გარემოებას, რადგან სინიღისი
 შეაწუხებს, რომ წერილი მისწერავს შეილს და თან დაპირე-
 ბული ფული არ გაუგზავნოს.

ახლა ვნახოთ, თუ რა მწარე ბედში შედის საწყალი ბა-
 ეში. დილას ხეზაიკა მისცემს მას მხოლოდ გამხზარი მკადის
 ხინკლებს (ხზარად იმასაც არ მისცემს) მტირალი და შიმში-
 ლით მოკლული პატარა ბავში მიღის კლასში და სწავლობს
 იქ ორ საათამდის. სადილად სახლის პატრონი დაახვედრებს
 თუ მარხვაა, მხოლოდ მკადსა და ლობიოს, თუ ხსნილია და
 მხოლოდ მკადსა და ერთ ლუკმა ყველს. „ლუკმა“ აქ იმ
 აზრით ეხმარე, რომ სწორედ ნამდელი „ლუკმა“, ესე იგი
 ერთი პირში ჩასადები ყველი შეადგენს ხოლმე ყმაწვილის
 სადილს. ეახშმათ სახლის პატრონი მარხვაში ცივ ლობიოსა



და ცივ მკადს მიაწოდებს ხოლმე და ხსნილში ცივ მკადს და ნახევარ ლუკმა ყველს.

ტანსაცმელს რაც შეეხება, მომეტებულ ნაწილად ყმა-წვილები ზამთარში უპალტოათ დადიან და ხშირად მართა სპანთხულო პარუსინის ბლუზა-შარვლით. ფეხზე აცივათ დახეული ჩუსტები, სადაც თავისუფლად შედის წყალი.

ოთახი აქეთ იმ გვარი, რომ პოლში, ქერში და კედლებში მრავალი ხვრელები აქვს გამოჭრილი და ქარი ყოველგნით შემოქიქინებს. ამისთანა ოთახი სულ ნიადგ რომ ათბო, მაინც ცივი იქნება; ნამდევალად-კი არასოდეს არ ათბობენ.

საცოდავი სანახავია სათუთი ბავშვი, როცა ფერ-მიხდოლი და გაყინული მიყუღებია საწერ სტოლს, ცახცახობს, მაგრამ თავისი დაბლუკებული თითებით მაინც ცდილობს წერას.

საცოდავია აგრეთვე როცა კლასიდან შავა და სახლის პატრონის უკიდურესის სიღარიბის გამო სადილი არ დახვდება. მაშინ ყმაწვილები დაემწყკრივებიან, გასწევენ ხოლმე ქალაქ გარედ და დაიწყებენ ტყეში სიარულს: იქნება ან სხმარტლს, ან ბაბუსაგძელას, ან ასკილს წავატყდეთო. «უჩენიკების» აღდგომა მაშინ გათენდება ხოლმე, როცა წაბლი შემოვა: ისეთის სიხარულით და ისეთის მხიარულებით დაესვნიან ხოლმე წაბლის ტყეს, რა სიხარულსაც და მხიარულებასაც-კი დაიტყეს ბავშვის ცოცხალი ბუეება. «უჩენიკათ» ყოფილ კაცს რომ კითხო, საუკეთესო სიყმაწვილის დღენი ამ წაბლის ტყეებში გაუტარებია. როცა თავისუფალ დროს იგდებენ ხოლმე ხელში, შეგირდები აგრეთვე დიდის ამბით მიდიან სათევზაოთ მდ. «წყალ-წითელაზე» ან «რუაზე».

უფრო საცოდავია საწყალი ბავში, როცა «ხაზაინის» ფული სახლიდან დაუგვიანდება. ამ დროს «ხაზაინი» და უფრო «ხაზაიკა» ჩააცივდება ხოლმე მას და სტანჯავს უიმისოდაც დატანჯულს. «ტყვილა ხომ ვერ გარჩენ, შე....! რა გაჭამო, რომ მეც არაფერი მაქ!» ამისთანა სიტყვებით ჰქენჯნის «ხაზაიკა» ბავშს და ამის ნორჩსა და ხელ-უხლებელ

ბუნებას თავის უკიდურეს უბედურებასთან კიდევ ის დიდი სინიღისი აქვს, რომ მთლად ავიწყდება შიმშილი, სიცხე და მარტოობა, და მხოლოდ „ხაზაიკასთან“ პირის გამტყუნება და სირცხვილი იპყრობს და ჰკლავს. სირცხვილში ჩაქარდნილი ნამუსიანი ბავში, შიმშილითაც რომ კვდებოდეს, ხმას ვერ ამოიღებს და „ხაზაიკას“ პირდაპირ ვერც-კი შეხედავს. ამ დროს ის მიზბის ქალაქ გარეთ, რომ იქ, ტყეებში და წყლის პირზე მოასვენოს თავისი შეწუხებული სული და ცოტა ხნით მაინც მოარიდოს „ხაზაიკას“ თავისი მორცხვი თვალები. ამ ნაირი ყოველდღიურით დატანჯული ყოფა ემწევილისა არის ჩვეულებრივი მოვლენა, ხოლო ბედნიერი დღე მისთვის-კი ძვირია. არსაიდან არ მოვლის იგი ნუგეშს და არსაიდან შევლას!

მაგრამ კიდევ უფრო საცოდავია ბავში მარტოობით, რომელიც პირველ ქალაქში ჩამოყვანის დროს საშინელ ტანჯვაში აგდებს მას. მისი ნორჩი და მოსიყვარულე გული და განება სულ იქ მიზბის, საცა ამდენი სიხარული და ხალისი გამოუვლია; ყოველი დღე, ყოველი ერთი გოჯა მიწა, ყოველი ჩხირი თავისი სოფლისა, რომელიც იმას განუხაზღვრელად უყვარს, ნიადგ თვალ წინ უდგას და ტკბილ ფიქრებში წასულს ნიადგ ეალერება. ახალ ჩამოსულ ბავშს მაინც ძალიან უყვარს ტკბილ ფიქრებში გართობა და მთელი დღე რომ ასე აფიქრს, იგი ბედნიერად ჩასთვლის თავს. თუ რამოდენიმე შეგირდი ერთი სოფლიდან არიან და ერთად დგანან, მაშინ მუდამ დღე და ღამე იგინი თავის სოფლის ბედნიერ ცხოვრებას იგონებენ და მათს გაცოცხლებულ ბასს სამხლვარი არა აქვს.

მაგრამ ბოლოს სასტიკი სინამდვილე მაინც გამოიყვანს ხოლმე საწყლებს ოცნებისაგან. შიმშილი, სახლის პატრონის დანახვა, «უროკები» და რაც ყველაზე უფრო მწარეა მარტოობა უცბათ შეუტკვის ხოლმე მათ ტკბილ ფიქრებს მწარე ფიქრებზე.

მაგრამ როდესაც ამ ნაირად იტანჯება და ეღუპება იო-
 ზარდი თაობა, რას შევრებიან ქუთაისის ინტელიგენციის წარ-
 მამადგენელნი? ივინი მხოლოდ თბილ-თბილ ოთახებში კარ-
 ტის თ.მ.შს და ქვიუს შეექცევიან. მაგრამ ან კი თავს რათ გა-
 ტებს ქუთაისის ინტელიგენტი მოსწავლე ყმაწვილიბისათვის!
 თითონ ხომ აღარ შია და აღარ წყურია, თითონ ხომ იკა-
 ყოფილებს ყოველ გვარ თავის მოთხოვნილებას და მისი პრინ-
 ციპი ხომ არ ასცილებია შემდეგ ზნეობრივ შავალეობას *Après
 vous le déluge*, რაც ქართულ იად ასე ითარგმნება: თუ მე
 აღარ ვიქენი, ქვა-ქვ ზედაც ნუჯარ იქნებაო.

ქუთაისის ინტელიგენციამ თავად - აზნაურობის
 მხოლოდ ერთი ზომა მიადებინა საწყალო შეგირდების
 ბედის გაუმჯობესობისათვის. მისი მეცადინეობით ქუთაისის
 სათავად-აზნაურო ბანკი უნიშნავდა თვეში რვა-რვა მანეთს
 სტიპენდიას ყოველ მოსწავლე შეგირდას, რომელსაც-კი ცო-
 ტაოდენ სწავლის ნიჭს ნაინც მემჩნეოდნენ. მაგრამ ამ სტი-
 პენდიამ ცოტა ხანს გასტანა. ჩემის ფიქრით, სტიპენდიის მოკ-
 ლე სიცოცხლეს რომ სათავე მოვუძებნოთ, შემდეგ ქენმ-
 რიტებას აღმოვაჩენთ; ბ.ბ. ბანკის მმართველებმა და მოხე-
 ლეებმა იწყინეს, რომ, რაკი შეგირდებს სტიპენდია შერჩებო-
 დათ, იმათ ჯამაგირი უნდა დაკლებოდათ, და ამიტომ თავი-
 ენერგიული მეცადინეობით საწყალ შეგირდებს სტიპენდია
 ჩამოართვეს და თავისი ჯამაგირების მომატების საქმე წამოა-
 ყენეს.

მე გვარიანად ეცნობ ჩვენს ინტელიგენციას და მისს
 გულს რომ მიემართოთ უბედური მოსწავლე ყმაწვილებს
 დ ხმარებისათვის, უსათუოდ ცივ «ატკახს» მივირდებთ, იმიტომ
 რომ მას გული არა აქვს. მე მიწდა ჩვენს საზოგადოებას მხო-
 ლოდ ერთი საშუალება ვუჩვენო.

მე მგონია, რომ მოსაშადებელ კლასებს გარდა სათა-
 ვად-აზნაურო შკოლას ძალიან ცოტა მნიშვნელობა აქვს.
 შეგირით აჯობებს, რომ აზნაურების შეილები სახელმწიფო
 სასწავლებლებში იზრდებოდნენ. მაგრამ თუ ჩვენი მომავალი



თაობის გაქრობა და გათასხრება არ გვიწინდა, ის ფული, რა მელსაც ვხვდებით ბნელი სათავად-აზნაურის შკოლას აძლევს, სახელმწიფო სასწავლებლების ღირებულებას შევიკრებებს სციპენდიებით დაენიშნოს.

და სანამ რაიმე დაწესებულება არ დაეხმარება ჩვენს მოსწავლე ახალ-გაზდობას, მანამ შეუძლებელი იქნება ჩვენი მომავალი წარმატება.

გ. — ლი.

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი .

(წარმოდგენა 31 ოქტომბრისა; „ზნა-დაკრკულნი ცხოვერნი“; კომ. ტეაბალდო ჯიკონისა, „ოინბაზი“, ვოდ. ა. ციკარლისა).

თავად გინგისოვი გზურშივდება ფეოდალთა ცოდვას, ღიუბოვ ივანოვს, რომ ივანის ამკვირის შეკრებით სწავლიერო გადაუხადოს თვით ფეოდალთა ცოდვას, რომელმაც მას პატივს თამაშში „მუღერობა შესწავლა და ამით საზოგადოებაში შეურაცყოფა მიადევნა. ღიუბოვ ივანოვს თავის მხრივ თავადის გააძვირებას უარს ედარის. ფიქრებს, იქნება ამით მანაც მოვიყვანო გონსე ქმარი ვადაც ბორჩესით გატაცებული და თავის შეუღლებივი გულხრეველები. მართლაც, რაც მას თავმოყვარეობას შეეს, უკარონკოვი დიდათ სწყხის ცოდვის საქცელს, კიდევ უყავრდება მას, გინგისოვთან საკვო დამოკიდებულებას უშლის და ბოლოს თავის მოქიშხის დედაში გამოსმობსაც აზიარებს. მაგრამ ამ დროს ღიუბოვ ივანოვს იმის მისეღვის, რომ მის ქმარს კიდევ უყვარს იგი, რომ მსათა დაუბრუნდეს ცოდვას, ოღონდ ამ უკანასკნელმა მოიცილოს თავიდან თავადი გინგისოვი, მშვიდობიანობას ჩამოატყდებს დედასთვის გამოსადებულ შიკვ შორის და ქმართურთ მოსკოვიდამ სოფელს ვაკეკსავრებიან თავდას და პარტისის თავიდაც

ასაცილებლათ. ეს გახლავსთ შინაარსი ჯიკონის კომედიისა. ეტყობა, რუსულად ნამეტან უხეიროდ უნდა იყოს გადმოკეთებული, თუ ქართული თარგმანი ამ გადმოკეთებულსა ისეთი უღასათო და უშინაა. საუკეთესო სასაცილო ან სატრაგიკო ადგილები თითქმის შეუნიშვნელად გაისმის სტენიადამ, რადგან მთელი მათი სინოცნსე მითოლოგიური სასკელებია, რომელიც ჩვენი თვის სრულიად უჩვეულო ხილია.

მოთამაშეთა შორის საუკეთესო უსათუოდ გედევანიშვილი იყო, რომელიც ბარინის უმნიშვნელო როლს ასრულებდა. ეს აქტიური მსოფლად ამ წელიწადში გამოვიდა ქართულ სამუდამო სტენაზე და ესლავე უნდა აღვიაროთ, რომ მისი გემ ახვლით ჩვენ ტრუზუნას ნიჭიერი ბედი შესძინა. ჭკვიანური თამაში, გონიერული მიხვრა-მოხვრა, მიმიკა სიტყვის და ფრაზის მკაფიოადად გამოთქმა — ყველაფერი ეს მოგატონებთ საუკეთესო უცნოელ აქტიორებს. ბ. გედევანიშვილი, მართალია, ისე ვერ უშედას“ როლში როგორც მაგ. აბაშიძე; მის თამაშს მუდამ ეტყობა, რომ იგი თამაშია და არა ნამდვილი ცხოვრება, მაგრამ ეს გარემოება აინსნება თავდაპირველად იმით, რომ გედევანიკი ჟერ და ჟერანალი შირის ქართულს სტენაზე და მერე, არ აგომოდის იმ ხარისხის როლებით, რომელიც უფრო შეფერის მის ნიჭს. პტულად მოლანარაკე მოხუცი კაცები, რომელთ მდგომარეობა თუმცა უფრო ხშირად სასაცილოა, მაგრამ სიტყვა-პასუხი კი მუდამ თკდაჭერილი და დინჯი, შეადგენენ, ჩვენის ფიქრით ბ. გედევანიშვილის ამხლუს.

ქ-ნი საფაროვისა ლიუბოვ ივანონათ, ჩვეულებრივ, კარგი რამ იყო და სწორად მან და გედევანიშვილმა დაისსნეს წარმოდგენა განსაცდელიდგან. რაც შეეება სსკებს, მეტი იქნება იმათზე გუტკათ, რომ გვარიანთ შესრულეს თავისი როლი: ბ. აბაშიძეს ვერც თავისი როლი მოენას და სტენაზედაც ნამეტანი გაბნეული დასტიალობდა; კანდელაკი, რომელსაც საბაბაშიძეო როლი ბედო, სრულიად ვერ შესწავდა მას და ქალების მორაბიეუ ახალგაზდა კაცის მაგიერ ლაქია წარმოდგინა; ქ-ნმა ავალკვისამ... როლი არ იცოდა და ამიტომ სიტყვებს და ხშირად ფრაზებსაც კენეტდა. გუნის კერ უხდებოდა, ჩვენის ფიქრით *jeun premier*-ობა.



დასასრულ წარმოადგინეს სასატილო ვოდევილი ცაგარლის, „ოინბაზი,“ რომელმაც ცოტა არ იყოს ჩვეულებრივი სახე მიაღებინა ქართულ თეატრს, ე. ი. მოხარხარე და ტაშის მკვრელი.

საზოგადოება საკმაოდ დაესწრო, თუმცა არც ისე, რომ კარგი შემოსავალი დაჩხეს. შეკნიშნავთ უკვე შენიშნულს რამდენჯერმე ჩვენს გაზეთში: თუ მთლად არა, დიდი უმრავლესობა თეატრზე დამსწრე საზოგადოებისა, მოსრული ხალხიდან შესდგებოდა. რას მივაწეროთ ასეთი თითქმის სისტემატიური უსიარულოება აქაურნი მკვიდრი ქართველობისა სამშობლო თეატრში...

ახალი ამბები.

გრ. ჩიჩქვანიის სტამბაში ჯგრ. ჩარქვანიისა და რ. ფანცხა-კას წიგნის მადანი“ ჭბუჭდავს ქართულ კედლის კალენდარს, რომელიც ნოემბრის დამლეკს გამოვა. წრეკანდელი კედლის კალენდარი შარშანდელზე ბევრად უკეთესი იქნება როგორც კარგეანის სილამაზითა და შინათი, ატრუთვე შინაარსითაც. კალენდრის თითოეულს ფურცელზე მოსსენებულა საკალენდარო ცნობანი ქართველთა, კათოლიკეთა და სომეხთა საწმუნოებისა, ხასელმწიფო დღე-სასწაულები, ისტორიული ამბები საქართველოს შესახებ, მოკლე საბიოგრაფიო წერილები ქართველთა წმინდანების თაობაზედ, აღნიშნულთა მთვარის ანგარიში და მზის ამოსვლა და ჩასვლა. თითოეულს ფურცელზედვე დაბეჭდილია გასართობი და ქართულის საჭმელების სია.

ჩვენ მივიღეთ ბ. სოფრონ მკლობლიშვილის პატარა მოთხრობა „დეპეტრეს სასლობა,“ დაუბეჭდიათ ქ. გორში და გამოუცია გრ. რამიშვილს. წიგნის შინაარსი გლეხ-კაცის ცხოვრებიდან არის აღებული. სუფოად დაბეჭდილია და ღირს სამი შაური.



ჩვენ მ.ვიღეთ კიდევ ახალი წიგნი, სასკედლობრ „დახასიათებანი“ თეოფორასტესი, რომელიც გადმოუთარგმნია ერთს სასულიერო სემინარიის შეგირდს ბ. ინ. კანს. წიგნი სუფთად და ღამაზათ არას დაბეჭდილი და ღირს ერთი ანაზა.

ბ.ის ა. რომანოვიძეს დაუსტავს რამდენსამე ეკუმენიარად თამარ ძეუას თეოლოგრაფიული სურათი დიდის ზამისა. ეს სურათი ისეაღება გრ. ჩარკვიანის და რ. ფანქსაკის წაგნის მაღაზიაში. ფასი სურათისა ერთი მანათია.

ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი

† წარსულს თთვის უკანასკნელ რიცხვებში გარდაიცვალა როსის გამოჩენილი მწერალი ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი. 20 ოქტომბერს-გაზ. „Русскія Вѣд.“-ს სწერენ საჩატოვიდამ — დასაფლავეს ნიკოლოზ გაბრიელის ძე. დღის რვა საათიდან პატარა ოთახში, რომელშიაც დაღმეული იყო განსვენებული კუბო, თან და თან გროვდებოდა სხვა და-სხვა-გვარი წრის ხალხი. განსვენებულის კუბო დაფარული იყო გვირგვინებით. 9¹/₂ საათზე გამოიტანეს ოთახიდან კუბო, რომელსაც მრავალი ხალხი გაჰყვა, და მისვენეს სერგიევის ეკლესიაში, სადაც განსვენებულის მამა დეკანოზათ მსახურებდა.

წესის აგების შემდეგ, რომელიც 12 საათზე გათავდა, ხალხი უკანასკნელათ გამოეთხოვა განსვენებულს. შემდეგ კუბო ხელით მიიტანეს „ვოსკრესენსკ. სასაფლაომდის“, სადაც განსვენებული დამარხულ იქმნა თვის მამის გვერდით.

შეის დროს.

რას ვახსენებ ნამკვლავს,
 რისთვის წაფიქრდი ძამია?
 მკერდზე რომ თული ვადმოკდის,
 უმანკო დანახსამია.

ეგ თული ისრე დაგშვენას,
 ვით ვარდსა დილას ნამია,
 შეგერგოს მუხუ მშობლისა
 რომელიც რა ვიწოვნია.

მაგ, შრომით ჰკვებამ ქვეყანა
 ნუ შეგაძინებს ეგ სვედრი:
 არ გვეხარ მუქოა მელანჯანსა,
 არა გაქვს მისებრ საეედრი.

შენი მუთაქა ცივი ქვა
 იმის ბუმბულსედ რბილია;
 ფშვინვა რომ მოკდის გულიდაშ,
 იმის სიცილსედ ტუბილია.

ეგ შენი გამშრალა ჰური
 მის სამსე სუფრას სჯობია,

აღალი შრომის მოყვარეს
თვით ღმერთიც მძათა სძმობია.

ნუ გაიჩერე ნამგალი,
მძაო, ნუ მოგიწუნია;
ეკ არის თფლი უძანკო,
კულსედ რო გადმოგდენია.

დ. შ.



კაცთა სასოგადოების განვითარება.

(შემდეგ*)

დამტკიცებულია, რომ თუ ცხოველს ცოტა საშუალება აქვს და მოხერხება, ებრაძლოს გარეშე ბუნებას და დაიცვას განსაცდელისაგან როგორც თავისი თავი, აგრეთვე თავისი შთამომავლობა, მაშინ თითონ იმ ცხოველს მოკლე სიცოცხლე აქვს და სანამ სიცოცხლობს, მანამაც შთამომავლობის წარმოშობაში ატარებს თავის სიცოცხლეს. არიან მისთანა პატარა მიკროსკოპიული ცხოველები, რომელნიც მხოლოდ რამოდენსამე საათს სცხოვრობენ და შემდეგ მთელი მათი სწეული განიყოფება ხოლმე ორ ნაწილად, რომელთაგანაც თვითეული კიდევ რამოდენსამე საათს იცოცხლებს, თავის ზრდას დასრულებს და მერე კიდევ ორ ნაწილად განიყოფება. ყველამ იცის, თუ რამდენ კვერცხსა სდებს კიბო, ბუზი. თევზი, ბაჭყა და გველი. ეს გარემოება მითი აიხსნება, რომ ამ ცხოველებს საშუალება არა აქვთ, დაი-

*) იხილეთ „თეატრი“-ს №-ი 34, 35 და 36.

ცვან თავისი თავი და შთამომავლობა მრავალ გვარ მომაკვდინებელ ბუნების მოვლენათა და მტერთაგან და ღიდ შთამომავლობას მიტომ წარმოშობენ, რომ ერთი ან ორი მინც გადაჩევა განსაცდელისაგან და განაგრძობს მოდემას. მაღალ ხირხიმლიან ცხოველებს-კი ათას ნაირი იარალი და ოსტატობა აქეთ, რომ ღაიცვან თავისი თავი და შთამომავლობა გარეშე მტრებისა და ბუნების სასტიკობისაგან. ამიტომ იმათ ცოტა კვერცხიც რომ დასდონ და ცოტათაც რომ მოშენდენ, თავისი მეცადინეობითა და მოხერხებით მინც აღზრდიან და არ ამოწყვეტენ შთამომავლობას პირიქით მათთვის ღიწი შთამომავლობა უფრო მანებელიც იქნებოდა, რადგანაც ვერ გაუძლეებოდენ მეტ შრომას, რომელსაც ის მოითხოვდა და ურომლოთაც იგი მთლად ამოწყდებოდა.

მაგრამ ფრინველები და უმაღლესი ცხოველებიც რომ განვიხილოთ, იქაც იმ კანონს აღმოვაჩენთ, რომ რაც უფრო დაბლა დგას ფრინველი ანუ ცხოველი, იმდენათ მეტი შთამომავლობა ებადებათ, თუმცა მეტაც ენოცეა. და ბოლოს კაცი ყველა ცხოველებზე ნაკლებ შობს. *)

გარდა ამისა არის კიდევ ერთი კანონი, რომელსაც მკიდრო კავშირი აქვს ხანებულთან და რომელსაც ემორჩილება ყოველი სულ-დგმული აი ეს კანონი: რაც უფრო დაბლა დგას ცხოველი გონებითა და აგებულებით, იმდენად ნაკლები ღრო უნდებ იმას ზრდისათვის. როგორთა პატარა ცხოველები, როცა დაიბადებიან, მაშინვე თითქმის ყველა-გვარი თვისებით მშობლებს გვანან. და რაც უფრო რთულ აგებულებისა და მაღალ გონების ცხოველს ავიღებთ, იმდენათ ნაკლებად გავს ახალი დაბადებული მშობელს და იმდენათ მეტი ღროა საჭირო, გაიზარდოს, ე. ი. შეიმატოს ტანის საკმაო სიღიდე და გონებისა და აგებულების სისრულე.

*) Principes de sociologie. Par Herbert Spencer. Tome deuxième. p 202 — 211.



გარდა ამისა თუმცა ადამიანი სპილოზე უფრო ადრე მოდის ასაკში, მაგრამ როგორც სპილოზე, ისე ყოველ სულ-ღმებულზე უფრო გვიან ამთავრებს თავისი გონებისა და რთული აგებულების ზრდას. და რაც უფრო დაბლა დგას გონებითა და აგებულებით ადამიანი, იმდენათ უფრო მალე დამთავრდება ხოლმე.

სანამ დამთავრდებოდენ, ველურს ადამიანს მეტი გზა არა აქვს, თავისი შვილები თითონ უნდა შეინახოს. ველური ადამიანის შვილი 6—8 წლისა უკვე ასაკში მოდის, მაგრამ რადგანაც ჯერ კიდევ სხეული და გონება დამთავრებული არა აქვს, ზინც თავისი დედამამის ბარობაზე უნდა იცხოვროს.

ჩვენი აზრების თანახმად ველურ კაცს უფრო ადრე მოუღის ასაკი, ვიდრე განათლებულს და გარდა ამისა პირველს მეტი შვილი ეზადება, ვიდრე მეორეს. ეს უკანასკნელი თვისება ველურში, კაცმა დაიმკვიდრა თავისი პირუტყული ბუნებისაგან.

როცა ადამიანის ოჯახები ცალ-ცალკე დახეტალობდენ და არ იყო თემობა, მაშინ ჩვეულებად ქონდათ ეკრეთ წოდებული ენდოგამა, ე. ი. ძმები ირთავდენ დებს და ხშირად მშობლები შვილებს.

ეს უსათუოდ იმიტომ უნდა მომხდარიყო, რომ ასაკში მოსული ქალ-ვაჟი ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ და ერთმანეთს ვერ შორდებოდენ, რადგანაც ისევ მშობლების სარჩენი იყვნენ.

გ. წ—ლა.

(შემდეგი იქნება)

რედ.-კამოშტეველი ა. ჩუბაყრაძე